სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

81887172285422

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220518405

რეგისტრაციის თარიღი

06.05.2022 წ

ნოტარიუსი: ირმა ბერიძე
მისამართი: თბილისი,გრიგოლ რობაქიძის გამზირი N7, კორპ. N4-6
ტელეფონი: 2905754

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი, ორიათას ოცდაორი წლის ექვს მაისს მე, ირმა ბერიძეს, ნოტარიუსს ქ. თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, გრიგოლ რობაქიძის გამზირი №7, კორპუსი №4-6, მომმართა ბატონმა ზურაბ ლოლაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ არის შპს "ქართულ-უკრაინული წარმოების საფინანსო კომპანია"-ს დირექტორი (თანახმად მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრის ამონაწერისა იურიდიული მისამართი საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვიქტორ დოლიძეს ჭუჭა 29, ბინა 106, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20096846, 26/11/2020 13:17:37 საიდენტიფიკაციო კოდი 405220657) მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ზურაბ ლოლაშვილმა** (დაბ. 22.03.1977წ. თბილისში პირადი № 01026008407 მისამართი თბილისი ვიქტორ დოლიძის ქ. 29, ბინა 106) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა და დადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა. მე, ნოტარიუსმა ირმა ბერიძემ, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე მას და განვუმარტე მისი შინაარსი. მან დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას.

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას ოცდაორი წლის ექვს მაისს **ზურაბ ლოლაშვილმა**, როგორც შპს "ქართულ-უკრაინული წარმოების საფინანსო კომპანია"-ს ს/კ 405220657 დირექტორმა, რომელიც შემდგომში წოდებულია „მიმნდობი პირი", **ნიკოლოზ სულხანიშვილს** (პირადი №01009018463), რომელიც შემდგომში წოდებულია „მინდობილი პირი", მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება: იყოს ჩემი, როგორც საზოგადოების დირექტორის წარმომადგენელი ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოებში (მერია, გამგეობა, მუნიციპალიტეტი, საკრებულო) და მათ სამსახურებში, მათ შორის არქიტექტურის სამსახურში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ტრანსპორტის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, რათა ჩემი სახელით წარადგინოს, გამოითხოვოს, მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, ცნობა, ინფორმაცია, განცხადება, ნებართვა, აწარმოოს შპს "ქართულ-უკრაინული წარმოების საფინანსო კომპანია"-ში საკუთრებაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაში მშენებლობასთან, საპროექტო/სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადებასთან ყველა ეტაპზე, მშენებლობის გრაფიკის შეთანხმებასთან დაკავშირებული, მშენებლობის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობა, წარადგინოს და შეათანხმოს პროექტი, შეიტანოს ცვლილება არსებულ პროექტში, მიიღოს ნებართვა, განაცხადოს შესაბამისი თანხმობები. მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტებს და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

**მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით და ძალაშია 2023 წლის ექვს მაისამდე.**

მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ ეგზემპლარად, ორი გადაეცა მიმნდობს, ერთი ინახება ჩემს, ირმა ბერიძის სანოტარო არქივში.

გადახდილია საზღაური: 10.00 ლარი და რეგისტრაციის საზღაური 2.00 ლარი სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების №507 (29.12.2011წელი) 31.7-ე მუხლის და 39 მუხლის 1 პუნქტის საფუძველზე.

ზურაბ ლოლაშვილი, როგორც შპს "ქართულ-უკრაინული წარმოების საფინანსო კომპანია"-ს დირექტორი

ნოტარიუსი ირმა ბერიძე